

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა

მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს საჯარო კონკურსს გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების ურბანული განვითარების საკითხებში წამყვანი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსები ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით შემდეგი პირობებით:

1. კონკურსს ატარებს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც ადგენს ვაკანტური თანამდებობისთვის დაწესებული საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას.

2. კონკურსებში მონაწილეობის უფლება ეძლევა 18 წლის ასაკს მიღწეულ, საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, მისამართზე: www.hr.gov.ge.

4. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

5. კანდიდატს შეუძლია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

6. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) – „ჩემი რეზიუმეს“ „დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში კანდიდატმა უნდა ატვირთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა);

ბ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

7. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის მე-2 ეტაპზე არ დაიშვება.

8. კონკურსები ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) I ეტაპი მოიცავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განცხადებების (აპლიკაციების) გადარჩევას;

ბ) II ეტაპი ტარდება გასაუბრების წესით, ვაკანტური თანამდებობისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნით გათვალისწინებულ თემატიკასთან დაკავშირებით; გასაუბრება

ჩატარდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189).

9. კონკურსის გასაუბრების ეტაპზე გამოცხადებისას მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა).

10. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.khobi.ge).

11. კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მხოლოდ წერილობითი ფორმით, მისამართზე: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189 (ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა).

12. ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე: www.khobi.ge/index.php?location=tree_elements&id=2783&slave=2782&lang=

13. საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტა: hr@khobi.ge
ტელეფონი: 599856098 (ლევან ღვინჯილია)

**ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა
მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია**